## ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №147

ქ. რუსთავი 26 დეკემბერი2019 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ (შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის ეკატერინე ხუციშვილის სახით და მერეს მხრივ ი. მ. მზია ნოზაძე (შემდგომში მიმწოდებელი) , საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

### 1.შესყიდვის ობიექტი

1.1 ოფისისათვის საჭირო საგნების და დამხმარე სამშენებლო მასალების შეძენა დანართი №1-ის შესაბამისად.

### 2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1213.4(ათასორასცამეტი ლარი 40 თეთრი) ლარს მათ შორის:

CPV312000 - 255,0 (ორასორმოცდახუთმეტი) ლარი
CPV 313000 – 235,0 (ორასოცდახუთმეტი ) ლარი
CPV 316 000 - 23,0 (ოცდასამი) ლარი
CPV 384000 – 60,0(სამოცი) ლარი
CPV 421000 – 573,9 (ხუთასსამოცდაცამეტი ლარი 90 თეთრი) ლარი
CPV 443000 – 17,5 (ჩვიდმეტი ლარი 50 თეთრი) ლარი
CPV 445000-49,0(ოცდაერთი)ლარი

### 3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში;
3.2. ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე;
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ნაერთი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
3.4. დაფინანსების წყარო: 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

### 4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;
**4.2.** შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შესაბამისი ფილიალის გამგე და მატერიალურ პასუხისმგებელი პირი.

### 5.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში ;
5.2. საქონლის მიწოდების ადგილი „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“-ს ფილიალები დანართის №2-ის შესაბამისად.

### 6.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს (ინსპექტირება) განახორციელებს ინფრასტრუქტურისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის განყოფილების უფროსი;
6.2. ინსპექტირების გამწევის ფუნქციებია:
6.3. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება
6.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება,
6.5. ინსპექტირების გამწევი პირი გამოვლენილ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს აფიქსირებს ოქმით, დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება ,,მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

## 7.მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ანაზღაურება;
7.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

## 8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ს ოდენობით, ასეთი უფლებით მხარემ შეიძლება ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით;
9.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით;
9.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
9.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.6. მხარე ვალდებულია 10.5. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით, ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს;
9.7. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტათ მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან);

12.2 ხელშეკრულება ძალაში შედის 2019წლის 26 დეკემბრიდან და მოქმედებს 2020 წლის 18 თებერვლის ჩათვლით.

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება“ | ი.მ მზია ნოზაძე |
| მის: ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. №20 | მის: ქ. რუსთავი,16 მ-ნი |
| ს/კ 216439325 | ს/კ: 11001012137 |
| სახელმწიფო ხაზინა | სს ,,თი ბი სი ბანკი“ |
| ბანკის კოდი:TRESGE22 | ბანკის კოდიTBGBGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა GE53TB7152845061100049 |

გაერთიანების დირექტორი
ეკატერინე ხუციშვილი

ინდ.მეწარმე
მზია ნოზაძე

KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Digitally signed by KINDERGARTEN UNION OF RUSTAVI CITY
Date: 2019.12.26 17:07:22 +04'00'

დანართი#1

| | | შინაარსი | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 31212000 | ავტ.ამომრთველი EKF 3P100A | ცალი | 3 | 85 | 255 | 255 |
| 2 | 31321210 | ელ სადენი 3*2.5 | მეტრი | 100 | 2,35 | 235 | 235 |
| 3 | 31650000 | პაკლი დიდი | ცალი | 4 | 2 | 8 | 23 |
| 4 | 31650000 | პაკლი დიდი 19X15X0.2 | ცალი | 10 | 1,5 | 15 | |
| 5 | 38431100 | სასიგნალო მოწყობილობა გაზის დეტექტორი | ცალი | 2 | 30 | 60 | 60 |
| 6 | 42130000 | სიფონი | ცალი | 1 | 3 | 3 | 573,9 |
| 7 | 42130000 | უნიტაზის ჩამკეტი მექანიზმი | ცალი | 18 | 11 | 198 | |
| 8 | 42130000 | გადამყვანი ფიტინგი 3 | ცალი | 4 | 6 | 24 | |
| 9 | 42130000 | T20*20*20 ლატუნის სამკაპი | ცალი | 5 | 12 | 60 | |
| 10 | 42130000 | ფიტინგი თითბერის სამკაპი 25*16 | ცალი | 1 | 33 | 33 | |
| 11 | 42130000 | ფიტინგი თითბერის 20*16 | ცალი | 2 | 15 | 30 | |
| 12 | 42130000 | ფიტინგი ლითონის (გადამ-ი) (Female Tee) TR-L-15 | ცალი | 5 | 5 | 25 | |
| 13 | 42130000 | ფიტინგი თითბერის T 20*20*20 | ცალი | 1 | 12 | 12 | |
| 14 | 42130000 | შტუცერი სამკაფი | ცალი | 1 | 1 | 1 | |
| 15 | 42130000 | თითბერის სამკაპი 1/2 | ცალი | 7 | 5 | 35 | |
| 16 | 42130000 | ფიტინგი თითბერის S 1/2 M*16 | ცალი | 10 | 3,9 | 39 | |
| 17 | 42130000 | თითბერის ფიტინგი 1/2 M20 | ცალი | 11 | 3,9 | 42,9 | |
| 18 | 42131400 | ვინტილი ბურთულიანი 40მმ | ცალი | 1 | 39 | 39 | |
| 19 | 42131400 | ვენტილი თითბერის 3/4 F*20 | ცალი | 2 | 16 | 32 | |
| 20 | 44333000 | მავთული გამომწვარი 2.0 | კგ | 5 | 3,5 | 17,5 | 17,5 |
| 21 | 44530000 | მილის დამჭერი PPR32 1*1000 | ცალი | 60 | 0,35 | 21 | 21 |
| 22 | 44500000 | ანჯამი | ცალი | 4 | 7 | 28 | 28 |
| | | | | | | 1213,4 | 1213,4 |

გაერთიანების დირექტორი ი.მ მზია ნოზაძე

ეკატერინა ხიციშვილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ...სიგნალო მოწყობილობა გაზის დეტექტორი | ცალი | 1 | 30 | 30 |
| | ჯამი | | | | 210,9 |

41 ფილიალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასიგნალო მოწყობილობა გაზის დეტექტორი | ცალი | 1 | 30 | 30 |
| | ჯამი | | | | 30 |

43 ფილიალი

| | შინაარსი | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პაკლი დიდი | ცალი | 4 | 2 | 8 |
| 4 | ვინტილი ბურთულიანი 40მმ | ცალი | 1 | 39 | 39 |
| | ჯამი | | | | 47 |

1 ფილიალი

| | შინაარსი | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | უნიტაზის ჩამკეტი მექანიზმი | ცალი | 18 | 11 | 198 |
| 5 | ანჯამი | ცალი | 4 | 7 | 28 |
| | | | | | 226 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | | | | 1213,4 |